

სუნელების და სანელებლების რეაღიზაციის ახალი წესები



საქართველოს მთავრობის დადგენილებით, სუნელების და სანელებლების წარმოება-გადამუშავებასა და ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებით, რისკის მართვის დროებითი ზომები ამოქმედდება. ინფორმაციას სურსათის ეროვნული სააგენტო [ავრცელებს](#).

რისკის მართვის დროებითი ზომების მოქმედების ვადა განსაზღვრულია არაუმეტეს 2 წლით. ახალი წესების თანახმად: იკრძალება ფიზიკური პირების (გარდა ინდივიდუალური მეწარმეებისა) მიერ სუნელებისა და სანელებლების წარმოება ან/და გადამუშავება და რეაღიზაცია; ფიზიკური პირების მიერ სუნელებისა და სანელებლების რეაღიზაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მომხმარებლის თანდასწრებით ადგირზე იფქვება სუნელები და სანელებლები;

ბიზნესოპერატორის მიერ წარმოებული ან/და გადამუშავებული სუნელებისა და სანელებლების ბაზარზე განთავსება შესაძლებელია მხოლოდ დაფასოებული სახით საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ეტიკეტირების მოთხოვნების დაცვით, რაც უზრუნველყოფს მიკვრევადობას და ეფექტიანი სახეღმწიფო კონტროლის განხორციელებას.

სურსათის ეროვნული სააგენტომ, 2017 წელს სახეღმწიფო კონტროლის ფარგლებში ჩატარებული დაბოლოებული კვლევის შედეგებით, სუნელებისა და სანელებლების 187 ნიმუშიდან 33 შემთხვევაში (18%-ია) ტყვიის გადაჭარბებული შემცველობა გამოავლინა. დარღვევები, უმეტეს შემთხვევაში, (88%) იმ ფიზიკური პირების, ასევე კუსტარული წარმოებების პროდუქციაში დაფიქსირდა,

რომლებიც არ იყვნენ რეგისტრირებულნი და, შესაბამისად, მათ სახელმწიფო არ აკონტროლებდა.

სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის დროს, გამოვლინდა სავარაუდო ფადსიფიკაციის შემთხვევებიც, მათ შორის, არასასურსათო დანიშნულების ნედლეულის გამოყენების ფაქტები. ამ გარემოებიდან გამომდინარე დღის წესრიგში დადგა შემოღებულიყო რისკის მართვის დროებითი ზომები, რაც მიზნად მომხმარებლის ინტერესებისა და ჯანმრთელობის დაცვას ისახავს.